



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და
ბრძანების ნომერი: 28.02.2019 წ. ბრძანება
№26

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო
მოთხოვნები და არჩევის წესი



დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. მიზანი	3
მუხლი 2. გავრცელების არე	3
მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები	3
მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები	4
მუხლი 5. მიღების პროცედურები	6
მუხლი 6. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების შეჯამება	8
მუხლი 7. კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები	9
მუხლი 8. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა	11
მუხლი 9. საჩივრებისა და პრეტენზიების მიღება	12
მუხლი 10. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და გადაწყვეტილებების მიღება	13



მუხლი 1. მიზანი

დოკუმენტის მიზანია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლა-სწავლების პროცესის მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით უზრუნველყოფა, მათდამი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა და მიღების/შერჩევის პროცესის წარმართვა.

მუხლი 2. გავრცელების არე

წესი გამოიყენება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ან არსებულ პროგრამების განახლების/ცვლილებების განხორციელების დროს. პროცესში ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფუნქციებისა და უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის მიხედვით, მიეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიას:

- ა) აკადემიური პერსონალი;
- ბ) მოწვეული ლექტორი.

2. აკადემიური თანამდებობებია:

ა) პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ბ) ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

გ) ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;



დ) ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

3. მოწვეული ლექტორი არის შესაბამისი განათლების/კვალიფიკაციის ან კომპეტენციის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ფლობს სასწავლო კურსის შესაბამის ცოდნას. მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. აკადემიური თანამდებობებისათვის უნივერსიტეტი ადგენს შემდეგ აუცილებელ განათლება/კვალიფიკაციას:

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი;

დ) ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი;

ე) ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება ასევე აირჩეს პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ნიშნით შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით;

ვ) აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობითა და წინამედებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები.



2. სპეციალური მოთხოვნები მედიცინის პროგრამის პერსონალისთვის სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში¹: აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატით.

3. კლინიკური დისციპლინების ფარგლებში აკადემიური პერსონალის მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები²:

- ა) პროფესორი - სულ მცირე 6 წელი პედაგოგიური და ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - სულ მცირე 3 წელი პედაგოგიური და ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - სულ მცირე ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;
- დ) ასისტენტი - დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში.

4. აკადემიურ თანამდებობაზე ასისტენტი, ასისტენტ-პროფესორები აირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო ასოცირებული პროფესორები - არანაკლებ 4 წლის ვადით. პროფესორის თანამდებობაზე პირი ინიშნება 5 წლის ვადით. პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება აირჩეს უვადოდ, რაც რეგულირდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

5. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების/საჩვენებელი ლექციის საფუძველზე მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საკონკურსო თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენით, საკონკურსო კომისიის მიერ;

6. ყოველი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა ან არსებული პროგრამების ცვლილებების დროს პროგრამის კომიტეტის მიერ განისაზღვრება მისი განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო ან/და დამატებითი მოთხოვნები.

7. მოწვეული პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხორციელდება თუ პირს აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ადასტურებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.

¹ სპეციალური მოთხოვნები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში - პერსონალი ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილოს 2019 წლის 1 იანვრიდან, პირველი შეფასება განხორციელდება 2021 წელს.

² სპეციალური მოთხოვნები არ ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრამდე არჩეულ აკადემიურ პერსონალზე.



8. კლინიკური დისციპლინების ფარგლებში მოწვეული პერსონალის მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები³: კლინიკურ დისციპლინებში მოწვეული სპეციალისტს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 წლის კლინიკური გამოცდილება.

მუხლი 5. მიღების პროცედურები

1. აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. მოწვეული ლექტორი თანამდებობაზე შეირჩევა კონკურსის გარეშე მათთვის დადგენილი ეტაპების დაცვით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია კონკურსის გამოცხადება. საკონკურსო პირობები და ეტაპები განისაზღვრება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით.

3. საკონკურსო კომისია:

ა) აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ობიექტურად, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებით ჩატარებას უზრუნველყოფს დროებითი საკონკურსო კომისია;

ბ) საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას კანდიდატების აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, ასევე, ატარებს გასაუბრებას შერჩეულ კანდიდატებთან;

გ) საკონკურსო კომისიის წევრი არის უნივერსიტეტის თანამშრომელი ან მოწვეული პირი; საკონკურსო კომისიის მეორე ეტაპზე სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იყვნენ სტუდენტები;

დ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მმართველი საბჭოს სამართლებრივი აქტით;

ე) საკონკურსო კომისია კონკურსს ატარებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და დადგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად;

ვ) საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ფორმდება სხდომის ოქმით.

4. კონკურსის გამოცხადება:

³ სპეციალური მოთხოვნები არ ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრამდე არჩეულ მოწვეულ პერსონალზე.



ა) შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/საინიციატივო ჯგუფის წარდგენის საფუძველზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით;

ბ) კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა საბუთების მიღების ვადა განისაზღვრება საკონკურსო განაცხადით. კონკურსის შედეგები ცხადდება საკონკურსო განაცხადში მითითებულ ვადაში;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით;

ე) კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის. კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი უნდა განთავსდეს ვებ-გვერდზე;

ვ) გამოქვეყნებული განაცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატის საკონკურსო განაცხადების წარმოდგენის ვადის, კონკურსის ეტაპების ჩატარებისა და კონკურსის წინასწარი და საბოლოო შედეგების გამოქვეყნების თარიღებს, ასევე, კონკურსის პირობებისა და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. სააპელაციო განაცხადის წარმოდგენის ვადებს.

5. ინტერესთა შეუთავსებლობა:

საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი ან ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონკურსის ორგანიზება

ა) კონკურსის ორგანიზებასა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

ბ) საკონკურსო კომისიის წევრებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის სამუშაო გარემოს;

გ) საკონკურსო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მდივანი, რომელიც ამავდროულად შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა (კონკურსანტთა) რეგისტრაციის წესი:



ა) აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებებს იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საქმისწარმოების სამსახური საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) მიღებული განაცხადები წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად განსახილველად გადაეცემა მმართველი საბჭოს საქმართლებრივი აქტით განსაზღვრულ საკონკურსო კომისიას.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების შეჯამება

1. კონკურსის ჩატარება და კონკურსანტების შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესის, საკონკურსო განცხადებაში მითითებული პირობების შესაბამისად საკონკურსო კომისიის მიერ;

2. საკონკურსო კომისია კონკურსის პირველ ეტაპზე ახორციელებს თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზს გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საკონკურსო კომისიის მიერ შედეგები აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში;

3. კონკურსის მეორე ეტაპზე გასაუბრების დროს საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შესაბამის დარგში არსებული გამოწვევების ხედვას, ასევე კომუნიკაციის (ქართულ/ინგლისურ ენაზე), თვითპრეზენტაციის, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარებს, ლექციის ჩატარების, სწავლა-სწავლების უნარ-ჩვევებს (საჭიროების შემთხვევაში). უცხოენოვანი პროგრამის /პროგრამის კომპონენტის განსახორციელებლად კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია საჩვენებელი ლექცია ჩაატაროს უცხო ენაზე. საკონკურსო კომისია კონკურსანტს აფასებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. დანართი #1);

4. უცხოენოვანი პროგრამების აკადემიური პერსონალის დამატებითი საკონკურსო მოთხოვნა

4.1 უცხოენოვანი პროგრამის ან პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსისთვის, დამატებით კრიტერიუმად წესდება კონკურსანტის მიერ ენობრივი კომპეტენციის დემონსტრირება პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განხორციელების ენაში, თუკი აღნიშნული ენა კონკურსანტის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს.

4.2 უცხო ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩაეთვლება:

ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;



- ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის / სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;
- გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ C1 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.
- დ) აკადემიური კონკურსის მონაწილე, უფლებამოსილია თავისი უცხო ენის კომპეტენცია დაადასტუროს კონკურსის ფარგლებში ჩატარებული საჩვენებელი ლექციით. ასეთ შემთხვევაში საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი ენის სპეციალისტი.

მუხლი 7. კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები

1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (აკადემიური ნიშნით):

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანავტორობა;
- დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) ხედვა.

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (აკადემიური ნიშნით):

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (აკადემიური ნიშნით):



- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.
4. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე (აკადემიური ნიშნით):
- ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან - შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
5. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პროფესიული ნიშნით):
- 5.1 არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
- 5.2 დარგის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგი ნიშნით:
- ა) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილებით შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.
- გ) ასევე, პუბლიკაცია შესაბამის მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილებით ან/და სპეციალური მომზადებით, რაც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სპეციალური სასწავლო კურსების გავლას.
6. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის (პროფესიული ნიშნით):
- 6.1 არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
- 6.2 დარგის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგი ნიშნით:
- ა) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილებით შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე) ან /და პუბლიკაცია შესაბამის მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან/და სპეციალური მომზადებით, რაც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სპეციალური სასწავლო კურსების გავლას.
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

3. მედიცინის პროგრამის ფარგლებში კლინიკურ დისციპლინებზე აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის სავალდებულოა ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

4. კონკურსანტის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები დგინდება შესაბამისი საკონკურსო განაცხადით. დამატებით კრიტერიუმების დადგენისას ყურადღება ექცევა კონკურსანტის შემდეგ მახასიათებლებს:

- ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა;
- გ) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
- დ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ე) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები;
- ვ) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
- ზ) დასრულებული კვლევითი პროექტები;
- თ) რედაქტორობა;
- ი) გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები;
- კ) კვალიფიკაციის ამაღლება;
- ლ) უცხოური ენის ცოდნა (კონკრეტდება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით);

4.1 დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის და ქულები ნაწილდება თანაბრად.

მუხლი 8. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. საკონკურსო დოკუმენტაცია:

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საბუთების წარმოდგენის ეტაპზე კომისიას წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე).



ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდვითი ფორმით).

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების, პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები/დოკუმენტის ასლები, სახელმწიფო სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადექვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ე) პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია დოკუმენტალურად დაასაბუთოს საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია;

ვ) კონკურსის დამატებით კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).

ზ) კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონკურსო განაცხადში.

მუხლი 9. საჩივრებისა და პრეტენზიების მიღება

1. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უნივერსიტეტში;
2. გასაჩივრების შემთხვევაში ფაკულტეტის წარდგინებით მმართველი საბჭოს მიერ იქმნება სააპელაციო კომისია;
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საკონკურსო მასალები, ვალდებულია შეისწავლოს და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება: დაეთანხმოს ან უკან დაუბრუნოს მასალები საკონკურსო კომისიას ხელახალი განხილვის მიზნით;
4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოში.



მუხლი 10. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და გადაწყვეტილებების მიღება

1. კონკურსის შედეგები ძალაში შედის გასაჩივრების ეტაპების დასრულების შემდეგ;
2. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემით;
3. პირი, რომელსაც უნივერსიტეტში ეკავა აკადემიური თანამდებობა და კონკურსის საფუძველზე დაინიშნა სხვა აკადემიურ თანამდებობაზე, რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თავისუფლდება ადრე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან;
4. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
5. კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსში მონაწილე პირს (მოთხოვნის შემთხვევაში) შეიძლება დაუბრუნდეს წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტში რჩება კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული დედანის ასლი.
6. მოწვეული ლექტორის შესახებ ვაკანსია ცხადდება ვებგვერდის საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის კვალიფიკაციის დადასტურებისა და საჩვენებელი ლექციის შეფასების შედეგად პირი ინიშვნა მოწვეული ლექტორის თანამდებობაზე.